№ 178 3 ენკენისთვე, კვირა 1866—1878 3 ენკენისთვე, კვირა № 178

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლში. № 8.

**ქანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქ. ჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** [illegible] წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მ.ნ. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** [illegible] ებით ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი 5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ხელის-მოწერა გაზეთს

## „დროებაზე“

**ფასი ნახევარი წლის გაზეთისა** (პირველ ივლისიდან პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი. პირველი აგვისტოდამ წლის დამლევამდინ—4 მან.

**ხელის-მოწერა მიიღება:** თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

## საქართველო

### ღლიური

*** ნეტავ იმათ ვისაც დროებაც და შეძლებაც აძლევს საზაფხულოდ აგარაკებში წასვლას. ხედავთ რა ფერზე არიან, როგორ მოუხარიათ საზამთროთ ქალაქში? აი აგრილდა და ჩვენნი ძველნი მეზობლებიც ნელ-ნელად მოემგზავრებიან ქალაქი ჩვეულებრივ ივსება, სიცხოველე ემატება, ხალხებიც თან-და-თან ძვირდებიან. სხვა რაა იაფი, რომ ეს იაფი იყოს!?

*** Ღღემდი იძახდნენ, „ვოენობა“, „ბატონო,, „ყველაფერი ძვირია“, მაგრამ ახლა ამ დალოცვილმა მშვიდობიანობამაც რომ ვერა უშველა-რა ამ დაწყეულილს სიძვირეს. აქ თითქმის ყველაფერი ისევ ისე ძვირია, როგორც ამას წინად „ვოენობის“ დროს იყო. ნუთუ „ვოენობის“ დროს დადებული ფასი ან მაინც ალარ უნდა შეიცვალოს. რას ფიქრობს ამაზე ნეტავ ჩვენი ქალაქის სამართველოთ.

*** ჩვენ მივიღით შემდეგი წერილი: „ნეტავ გუშინ 5 საათზედ ანჩიხატის სობორაში ჰყოფილ იყავით და გენახათ, თუ როგორი მშვენიერი ქართული გალობა გვქონდა!

Ბურიიდამ მოწვეული მგალობელი მღვდელი მოვიდა. Ბესურდა შეგვეთანასწორებინა, ჰგავს, თუ არა იმისი გალობის კილო ქართველისას? ამ მიზეზით მრავალი მგალობლები შეეკრიბენით იქ.

ლოცვის შემდეგ კამისიის წევრნი ხალხითურთ შევგროვდით არხიმანდრიტის ზალაში, სადაც დაესწრო ამ კეთილი საქმის მოთავე ალექსანდრე ეპისკოპოზიც.

თავს ძველმარე წარმოსთქვა სიტყვა. რომლითაც ითხოვა ამ საქმეში ყველასგან მხურვალე თანაგრძნობა.

— მე ჩემის და მონასტრის მხრიე ვსწირავ თვეში 8 მანეთს და ყველას გთხოვთ ხელი მოგვიმართოთ—ფულითაო“!

Კაფედრალნი დეკანოზმა აღუთქვა, რომ სამღვდელოების ყრილობას მოეახდენ და ეცდები ყველას შემოვაწირვინოვი.

Ბოლოს მღვდელმა იგალობა რამდენიმე ხმა. თუმცა ცოტანი კი დაუკლაკნიათ იმ გვარათ, როგორც ლაპარაკს ჰკლაკნიან ხოლმე ინერლები, მაგრამ მაინც ნამდვილ ეთანასწორება ჩვენებურ გალობას. შესანიშნავი ის არის, რომ ყველა წასაკითხს გალობით ამბობს.

## ფელეტონი

### ბათუმში

(წერილი მეხუთე)

Ბათუმი წმინდა აღმოსავლეთური, აზიური ქალაქია.

Ბაზარი, ქუჩების სიბინძურე, შენობეაკს არქიტექტურა, ხალხის ცხოვრება—ყ ელაფერი აზიას, აღმოსავლეთს მოგაზონებსთ.

მხოლოთ რამოდენიმე სახლია აქ, რომლებსაც ცოტა რამ აცხია ევროპისა; ეს სახლები არიან: ალი-ფაშა თავდგირიძის სახლი, ჩვენი კონსულის სახლი, დამოძნა და ერთი-ორიც სხვა, რომელნიც ყველა ზღვის ნაპირას არიან ჩამწკრიებულნი.

შეჭველია, ამ ოსმალოს ქალაქში სისუფთავე და ევროპიული სიფაქიზე არასოდეს არ უნდა ყოფილიყო; მაგრამ ახლა მაინც გასული ომის წყალობით და იმ არევ-დარევის გამო, რომელიც ამ ქამად ჰსუფევს ბათუმში, ქალაქი სულ მთლად ოლოთ მოლებულია: თითქმის მთელი ქალაქი ჯარებით ყოფილა გატენილი, აქვე საავათმყოფოები, სურსათის შესანახი ადგილები, სალდათების კარები და სხვ., და ყველა ამის წყალობით ერთს სახლსაც ვერ ნახავთ ახლა აქ, რომ მთლად დარჩენილიყოს და კაცს დადგომა შეეძლოს: ფანჯრები და კარები ჩამტვრეული, იატაკი აღებული, შიგ გაბინძურებული, აყროლებული. ქუჩებში, მოედნებზე, ზღვის ნაპირს რეიდზე კოჭებამდინ ნაგავი, მტვერი, ყოველ ნაირი სიმყრალე.

მაგრამ ყველაზე უფრო მომეჯებულად მავნებელი ქალაქის მცხოვრებთათვის ოსმალოს სასაფლაო არის, რომელიც ზედ ქალაქს აკრავს დასავლეთის მხრით და რომელზედაც, როგორც ამბობენ, უკანასკნელი 30,000 კაცი არის დამარხულიო!

ერთს არშინზედ ღრმათ არ არის საფლავი გათხრილიო; ოსმალები მიცვალებულს ფიცარს დაადებენ ზემოდამ, და რადგან ეს ფიცრები დამპალან და ჩამტვრეულან, ამის გამო ბევრ ალაგას მიცვალებულები თითქმის გამოჩენილები არიან, და თქვენ წარმოიდგინეთ რა სიმყრალე უნდა იდგეს ამისაგან ქალაქში და რა სიკეთეს უნდა მოელოდნენ მცხოვრებლები! საქმე კი ექმნება აქ სანიტარულ და ასსენიზაციურ ატრიადებს...

ჯერ-ჯერობით ჩვენი მთავრობა არა ვითარ საქმეებს არ შესდგომია; მხოლოდ ჩვენი ჩინოვნიკები ოსმალოს კომისიისაგან სახელმწიფო შენობებსა და საზოგადოდ უძრავ ქონებას იბარებენ (მოძრავი რაც აქვთ, ბიაქვთ).

ძველი ოსმალოს სასამართლო (მეჯლისი) მოისპო, ახალი ჯერ არ დაუდგენიათ; შკოლები ოსმალებმა ჩვენი შემოსვლისა თანავე დახურეს (აქ ყოფილა ერთი სახელმწიფო შკოლა გიმნაზიასავით და 15-მდის სამრეველო შკოლა, ორ ჩითებთან—მედრესე).

სამოქალაქო საქმეების გამგებელი წარმოადგენს თ. ბრ. ბურიელი, პალატაციას უფ. სტ. მეფისაშვილი. მუდამ ღამ აბზოდებათ სამი რუსი და სამი ოსმალოს სალდათი დაიარებიან ქუჩებში და ერთად ძმურად იცვენ მცხოვრებლების მშვიდობიანობას.

რაც რომ ჩვენ აქა ვართ, ერთი უბრალო ქურდობა და ავაზაკობა რა არი არ მომხდარა.

რუსისა და ოსმალოს სალდათებს შუა ძალიან მეგობრული წყობილება ჰუ-

გან

ამ ოლშაბათს კიდევ იქნება მგონი ამ ნაიო კრება. მართლელი მგალობელი კარბელოვიც დაიბარეს.

ბანზრახვა აქვსთ, რომ ნოტები დასწერონ და გალობის სასწავლებელი გამართონ“.

* * * თბილისის ერთ ეპარქიისაგან მივიღეთ ეს წერილი:

„ორი წელიწადი იქნება, რაც ხონის მოეპარეებისაგან მქონდა ნდობის წერილი და ყოველივე საქონელი რიგიანათ იგზავნებოდა აქედამ რკინის გზით; არც ერთხელ ვეპარებისაგან საყვედური არ შიმიღია. მაგრამ ოთხი თვე მიდის, რაც გაახშირეს მოწერა, რომ ყოველივე საქონელს, რომელსაც ვიღებთ სამტრედის სტანციაზედ, არ შეიძლება, რომ არ აკლდეს სამი თუმნიდამ, ოცი თუმნის საღირალი ნივთებიო.

მს, რასაკვირველია, უნდა ძიეწეროს ჩვენი რკინის გზის უფროსების უყურადღებობას და განსაკუთრებით სამტრედიის სტანციის ნაჩალნიკს და მათ ხელქვეყვეით მყოფთ.

ამისათვის გთხოვთ, უ. რედაქტორო, გამოაცხადოთ ეს თქვენს გაზეთში და იქიდამ გადაილონ რუსულ გაზეთებში, რომ იქნება მიაქციონ ყურადღება ამ უწესოებას და ამის გამო ყოველ ქამს ჩიეილს“.

აბა თვე თუ გა ულა, რომ ჩვენს რკინის გზიზედ ს.ჩივარი რამდენჯერმე არ ჰყოფილიყვეს რომელიმე ადგილობრივ გაზეთში გამოცხადებული?!

# საგაასო

დღეს მე „დროების“ 175 №-ში წავიკითხე, რომ „ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს ორი შეგირდი და უთნოვნიაო იმიტომ, რომ ისინი ვითომც „უ. ლ., ზედამხედველის უწინდელს თანაშემწეს რაშეებს ელაპარაკებოდნენ ხოლმეო“ და „ნეტავ ნამდვილათ გვაცოდინაო, მართლა ამისთვის დაუთხოვნია საწყალი ყმაწვილები ზედამხედველს, თუ არაო?“.

ერე ჩქარა შენ აგისრულდეს ნატვრა, მკითხველო, როგორც მე ეხლავე ამ სიტყვების მნატვრელს ნატვრა აუსრულო!

შარშან წინ ოზურგეთის ს. სასწავლებელში მეოთხე კლასი გაიხსნა. მასწავლებლებიც თითქის სულ შეუგროვდა. გაიმართა სასწავლებელი და დაიწყო სწავლა რიგზე. სამღვდელოებასაც უხაროდა, შვილები მოჰყავდა. მაგრამ ამ სიხარულს ბოლო ჩქარა მოეღო. შარშან სექტემბრიდამ სასწავლებლის ზედამხედველმან სასწავლებლის ჩალხის ტარს უკუღმა ხელი გამოჰკრა. ჩალხი მოიფუშა. შესწუხდნენ შეგირდები, შესწუხდნენ ყველა კეთილნი სულნი. მხოლოდ განიხარა ზედამხედველმა, რადგანაც მოფუშული ჩალხი სასარგებლოთ იმას დარჩა.

ჩალხი იმან მით მოშალა, რომ სასწავლებელს მასწავლებლები შემოუფანტა, და იმათ ჯამაგირიდამ დანარჩენი ფული სახლის ქირას მიუმატა. (სასწავლებელი ზედამხედველის სახლებშია. წინათ სამღვდელოებას 325 მ. ჰქონდა დაქირავებული თვეში. შარშან კი ხუთი ოთახი სასწავლებლისა თვეში 100 მ. გარდაიქცა ზედამხედველმა, თუმცა ამაზე იმას არც სამღვდელოებისაგან და არც ეპისკოპოზისაგან ნება არ ჰქონდა). შეგირდებმა ეს საქმე კარგათ იგრძნეს. ჰხედამდნენ, რომ მათი მამების ფულები იხარჯებოდა არა მათ სასწავლებლათ. იგინი ისხდნენ ცივ ოთახებში გამოყრუებულათ (15 საჟენი შეშიდამ მთელ ზამთარში კლასებს ერთი საჟენი არ მოხმარებია), და ტვინის გამაყვიძებელ სიტყვების მაგივრათ, ისინი ყლაპავდნენ მუჭმუჭა მტვერს, რადგანაც სასწავლებლის მოსამსახურეს საქმე ჰქონდა ხოლმე— ცხენის მოვლა და კუხნაში საკმლის კეთება, იმიტომ ოთახებს ვერ სწმენდამდა.

ამისთანა უბედურობას ზედ დაურთო მარტში ზედამხედველის თანაშემწის დათხოვნა მიზეზისა გამო, რომელ იგი ბედვიდა ცოტათ რამ ზედამხედველის წინააღმდეგობას, თუ რომ კანონს იგი გადასცილდებოდა; აგრეთვე ფულის ხარჯვის დაშლას არა ანიშნულობისამებრ.

ერთს მარტის დღის დილით მესამე კლასის შეგირდები გაბოროტებულნი ამით და იმით და უფრო მით, რომ წინა დღეს იგინი სულ ერთობრივ შეუწყნარებელის ბრძანებით დასჯილ იქმნენ კლასში დაჩოქებით, რადგანაც სწავლის დროს ქართული მასწავლებელი არ ჰყავდა, და გარეთ დადიოდნენ, მეორე დღეს კლასში აღარ მოსულან.

ზედამხედველი ამ შემთხვევამ ძრიელ გაახარა, რადგანაც თვისთანა შემწის დათხოვნის მიზეზი არა ჰქონდათ-რა, და ეგონა, აქედამ იგი აღმოჩხრეკდა მიზეზს დათხოვნისას, შემდეგ დათხოვნისა.

---

ფევს; ხშირად ნახავთ, რომ მოგროვილან და ერთად შეექცევიან საზამთროს, სხალს, ყურძენს, გალეტებს (უხრებს) და ან გაცხარებით მუსაიფობენ ერთმანეთში.

— ბესმისთ ერთმანეთის, რო ლაპარაკობთ?—მეთქი, ეკითხე ერთს სალდათს.

— სამშინელი ბრიყვი ხალხია, მიპასუხა სალდათმა, ერთი საათია ველაპარაკები და სრულიად ვერაფერი ვერ გავაგებინე. . .

—რაღაც ეშმაკურს ენაზე ლაპარაკობს, რას გავიგებ. . .

ძალიან ცხვირ ჩამოშვებულები არიან ოსმალები. იმათი სალდათები აქედამ წასვლას ეჩქარებიან; ამიტომ, მოვა თუ არა ტრაპიზონიდამ ხომალდი, იმ წამსვე მიცოვდებიან და ერთი მეორეს ასწრობენ ჩაჯდომას.

მაგრამ დერვიშ-ფაშამ ბევრი საქმე გაუჩინა ამათ და როგორც ჩსურთ, ისე ჩქარა ვერ მიდიან: გასაკვირველია, რამდენი სამხედრო მასალები, რამდენი სურსათი და ბარგი-ბარხანა ჰქონიათ აქ ოსმალებს. ამბობენ, 27 ივლისიდამ დაიწყეს აქედამ ზიდვა და თქმცა მუდამ დღე ოთხი-ხუთი ათასი კაცი ეზიდებოდა, მაგრამ ჯერაც რამდენიმე დღის საზიდავი კიდევ აქვთ.

ეტყობათ კი, რომ არაფრის დატოვება არ უნდათ; დამპალი ფიცრები, დამტვრეული კრავატი და ბამბის კარები, ურმები, მშამაკვდავი ცხენები, სიმინდი— ყველაფერი, რის წაღებაც კი შეიძლება. ეზიდებიან, მიაქვთ, აია ფერს არ სტოვებენ. . .

ოსმალოს სალდათს, როგოც ეტყობა, ამ ომში საჭველ-სასმელი ბლომათ ჰქონია აქეთკენ: მარჯვედ იყურებიან, ჯანზედ არიან. ქარგათაც აცვიათ; მხოლოთ ზოგიერთ ბათალიონებს ჩექმები შემოსცვეთიათ და ქალამნები ჩაუცვამთ.

რამდენათაც აქ ვხედავთ, ოსმალოს სალდათი სრულიად ისე თავ-აშვებული და წესიერებას მიჩვეული არ არის, როგორც იწერებიან: არც ერთჯერ არ შემინიშნავს, რომ ის სამხედრო დისციპლინას გადასცდომოდეს და თავის აფიცრის ბრძანებას არ დამორჩილებოდეს.

ამბობენ, რომ ეს სულ დერვიშ-ფაშის საქმე არისო; იმან დაადგინა ჯარში წესიერება და რიგიო; სასტიკად სჯიდა ყოველ სალდათს, რომელიც სიტყვა ამოუღებელად არ ემორჩილებოდა თავის უფროსის ბრძანებასაო.

საზოგადოთ ოსმალოს აფიცრები და სალდათები, ვისაც კი ეკითხე რამე დერვიშ-ფაშაზე, ისეთის კრძალვით და პატივის-ცემით ლაპარაკობენ იმაზე, რომ გაგიკვირდებათ. ამათის სიტყვით დერვიშ-ფაშისა და პლევნის გმირის ოსმან-ფაშისთანა ორი ღენერალი რომ ჰყოლოდა კიდევ ხონთქარს, ოსმალეთი არ შერცხვებოდა ისე ამ ომში და არ დაამარცხებდა რუსი, თავის სამზღვარს მაინც დაიცვავდა. მაგრამ ჩვენი უბედურება ეს იყოვო, რომ თავიანი კაცები, ხვირიანი ღენერლები არა გვყავდა და ვინც გვყავდა, ისინიც ერთიერთმანეთის მტერობაში, ჩხუბში და დაეი-დარაბაში ატარებდნენ დროს და ამასობაში ხონთქარი და ჩვენი ქვეყანა შუაში გამოჭყლიტესო.

ჰუსეინ-ბეგს ბეჟან-ოღლის გარდა, რომელზედაც ამას წინათ მოგახსენეთ რამოდენიმე სიტყვა, მე გავიცანი აქ ოსმან-ფაშა თავდგირიძე, ჰასსან-ბეგი ბეჟან-ოღლი და ზოგიერთი სხვა აქაური წარჩინებული პირები. ამათზე შემდეგში მოგელაპარაკებით.

ბათუმი, 29 აგვისტოს. ჟ. მ.

ზედამხედველმა თავის აგენტი უ. შ. გაგზავნა შეგირდების კლასში მოსაყვანათ, და მათ მოუსელელობის მიზეზის გასაგებათ. შეგირდებმა წარუდგინეა დაწერილი ქაღალდი შემდეგის შინაარსით: „ჩვენ არ შეგვიძლიან სწავლა განვაგრძოთ, რადგანაც არ გვყანან მასწავლებელნი: ლათინურისა, ქართულისა, გეოგრაფიისა და თითონ ზედამხედველიც კლასებში არ დაიარება, რადგანაც, ვითარცა ბლაღოჩინი, სოფლებში დადის, ამნაირათ სულ მოცდენილნი ვართ და კიდევაც უმიზეზოთ ვისაჯებით.“

მს ქაღალდი, ვითარცა წინააღმდეგი ზედამხედველის შორს გამჭვრეტელობის მიზნისა, იქმნა მაშინვე დახეულ.

მან და მისმა მარჯვენა ხელმა დაიწყეს თავათვე გამოკვლევა და დიდი გამოძიება. მთელი ერთი თვის განმავლობაში მოუდიოდათ სასწავლებელში შეგირდები, იჭერდნენ ხუთი საათიდამ ღამის 11-მდის და იყენენ ყოველნაირ ტანჯვით გამოკითხვის ქვეშ.

მოწმებათ მოუწოდეს მოსამზადებელი კლასის ბავშვებს, ეუბნებოდნენ, სთქვით რამეო—და ისე ჰკითხამდნენ, რომ ბავშვები მიმხვედარნი იყვნენ იმას, ზედამხედველს რაც სურდა, და რა აც იმათგან თხოულობდა. იცოდნენ, თუ იგინი იტყოდნენ ამას, თუნდ სულ ტყუილათ, ზედამხედველი კმაყოფილი დარჩებოდა. ზოგს ეუბნებოდა, დაგითხოვთო, ზოგს—დაგაფიცებთო. (ნახე მის გონების გამჭრიახობა, 8 წლის ბავშვები უნდა დაეფიცებინა!) მგრეთვე მესამელებს—ზოგს ალუთქვამდა ბედნიერებას, ზოგს ქვეშკნეთში შთანთხევას. მრავალის ფაქტებიდამ ერთს მოვიყვან. ერთი პირი მისულა და ერთს შეგირდს ეუბნევა: შენ ისრე სთქვიო, როგორც ზედამხედველს სურსო და წითელი ქაღალდი შენთვის მზათ არისო. შეგირდი ჯერ დაჰყვა ნებას. მამოკითხვის დროს ზედამხედველს ორი შეგირდის ჩვენება რომ არ მოეწონა, ყველამ უთხრა „სტყუითო“, აგერ ეს ტყუის სწორეთო. მაგრამ წარმოიდგინე ზედამხედველის გაბრაზება, კანკალი და განცვიფრება, რომ იმის მოლოდინის წინააღმდეგ შეგირდმა მართლაც მართალი სთქვა. ზედამხედველს უნდოდა შეგირდებისთვის ეთქვეინებინა, რომ უ. ვითომც მათთან დადიოდა და ეუბნებოდა, ან კლასში ნუ მიხვალთო და ან სხვა რასმე ცუდს ზედამხედველზე. მაშინ ბევრ შეგირდებს დაემუქრნენ გამორისხვით სასწავლებლიდამ. მგზემენიების დროს იყო ეს ამბავი. ის დიდი გამოძიების პროტოკოლები შეინახეს და შემდეგ რა ქნეს აღარ ვიცი.

აი, მიზეზი, რომლის გაგებასაც შენ ნატრობდი და ვინც ამა ყოველსაევ ნათქვამში ეტყს რასმეს შეიტანს, მზათ ვარ უფრო კარგათ დაუმტკიცო.

უ—ელი

31 აგვისტოს.

# ომის შემდეგ

## რუსეთი

— გაზეთ „ობზორში“ იწერებიან: „ადგილობრივი გაზეთების სიტყვით, ამ დღეებში ოდესაში მიღებულია სამხედრო სამინისტროსაგან განკარგულება, რომ მოშალონ შავი ზღვის ნაპირებზედ წარსულ რუს-ოსმალოს ომის დროს აგებული სიმაგრეები“.

— რაგუზიდამ „პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ სწერენ, რომ უმეტესი ნაწილი თათრის რეგულიარულის ჯარისა, რომელიც ბოსნიაში იმყოფება, ამ ჟამად მიდის ნოვი-ბაზრისაკენაც. ჟ. ქალაშინში შეტაკებულან ადგილობრივი მცხოვრებნი მაჰმადები და ორი ბათალიონი ნიზამი. სიმაგრეები მცხოვრებლებს დაუჭერიათ, რეგულიარული ჯარიც ნოვი-ბაზარისკენ წავიდა.

— აი მამულიდამ გაგდებული „ახალის ოსმალეთის“ კონსტიტუციის მიმცემი მითხად-ფაშა შეუწყნარებია ხონთქარს, ლორდს ბიკონსფილდს 24 აგვისტოს კიდევაც მიულოცავს მითხადისათვის სამშობლოში დაბრუნება. ბერლინიდამ ოცდაოთხს აგვისტოს იწერებიან: მითხადი მიდის ქონსტანტინეპოლშიო, პარიჟდამ ჰასტეინში გაიელის, სადაც ინახულებს თ. ბისმარკს ბერლინის პირობის წერილზე მოსალაპარაკებლათ.

სარაევოდამ იწერებიან ერთს უცხო ქვეყნის გაზეთში შემდეგს:

„ბუშინ მოვიდა აქ რაგატიციდამ გამოგზავნილი თათარი, გარდასცა მან ფილიპპოვიჩს თორმეტის მაჰჰადიანისაგან ხელ მოწერილი, თათრები აცხადებენ თავიანთს მორჩილებას და სთხოვენ ავსტრიის მთავარ-სარდალს‘ რომ იგი თავისის მხედრებით მოვიდეს რაც შეიძლება ჩქარა და გაწმინდოს არე-მარე ინსურგენტებისაგან, რომლებმაც ხალხი აამტუტეს.“

## საბერძნეთი

— „მოსკოვის უწყებას“ გაუგონია, ვითომ საბერძნეთის საქმეები თესალიისა და მაკედონიის შესახებ თან-და-თან იფუშებიან. ალბანიელნი იწყებენ ღელვას; სამზღვრების შესწორების ეშინიათ. რა არის უკანასკნელი გარდაწყვეტილება პორტაში ამის შესახებ, ძნელი გასაგებია, რადგანაც კოროლის ბიორგის მოქმედება ყოველთვის არ ეთანხმება ხოლმე საბერძნეთის პოლიტიკის სურვილს; ეს სურვილი, რასაკვირველია, თხოულობს პირ-და-პირს მოქმედებასა მაგრამ პორტას იმდენი კიდევ შეუძლიან, რომ დაიჯაბნოს საბერძნეთი, რადგანაც რომელიმე ევროპის სახელმწიფოს მხრით შველას არ უნდა ელოდეს; ბერძნებს მაინცა სურთ ომი, იმ განზრახვით, რომ ევროპა არ მისცემს ნებას საბერძნეთის დაღუპვისას.

# ნარევი

რუსულ გაზეთებში ვკითხულობთ შემდეგს:

ერთ მდიდარ კაცს დაუტოვებია ანდერძი რომ სრულიად თავისი ქონება, რომელსაც შეადგენს 58 ათასი მანეთი მიეცეს ჩერნოგორიას იმ პირობით, რომ ამ ფულით იქ ბანკი გაიხსნას. ამ ბანკის შემოსავლის ერთი ნაწილი მოხმარდეს იქაურ შკოლებსა და სამასწავლებლო სემინარიის ოთხს სტიპენდიანტს, რომ 


ინი გამოვიდნენ მასწავლებლებად; მეორე ნაწილი მიეცეს ძალიან ღარიბ ჩერნოგორიელ გასათხოვარ ქალებს მზითვად.“. სწორეთ ჩვენებური ბედნერებისთვის წაუბაძავს, აი!

*
* *

ამერიკაში ჰყოფილა ერთ ნაირ ხე, რომლის ტანიდამაც ეაჭრის დროს ბლომათ გამოდის თეთრი და სქელი წვენი, რომელსაც შეხედულობით სრულიად რძის თვისება აქვს, იმას ჰგავს. ერთი აკადემიკი მოგზაურობის დროს მთელი ორი თვე ხმარობდა თურმე ამ ხის წვენს შოკოლადში და ყავაში რძის მაგიერად. ამ მოგზაურმა ერთხელ შენიშნა რომ სალდათები დიდრონი ჭურჭლებით მიდიოდნენ სადღაც მთებში და ჰკითხა-თუ სად მიდიან? სალდათებმა მიუგეს: „ხის მოსაწველად მივდივართ“! მოგზაური გაჰყვა იმათ და ნახა, რომ დანით გაჭრილ ხიდამ ერთ საათში გაივსო ყველა ჭურჭლები. ეს წვენი ძროხის რძეზედ უფრო სქელია. მაგრამ ძალიან მალე იცის ამჟავება. იქაური მცხოვრებლები ძალიან ეტანებიან ამ რძეს და ხმარობენ იმას სასმელად.

ამ ხეს აქ ეძახიან „ხე—ძროხას.“

საშინელი მუშტი-კრივი კი გაიმართებოდა მალაკნებს შუა, რომ ეს ხე ამ ახლოს ჰყოფილიყო!

# ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

**ია ლ ტ ა**, 30 აგვისტოს. სამხედრო მინისტრისთვის მიუცია თ გრაფის ხარისხი.

**სან-სტეფანო**, 30 აგვიტოს. ეს-ეს არის რაც აუშვეს და გავიდა ნავთ-სადგურიდამ პირველი კრეისერი ჩვენი ფლოტისა, „მ ო ს კ ო ვ ი“ მამაცი ბოლინელებით. კრეისერმა მიმართა ოდესასა. მოგზაურთა (კრეისერში მსხდომთა) რიცხვში იმყოფებოდა გამოჩენილი გმირი, გენერალი რადეცკი.

**ვენა**, 30 აგვისტოს. აქ ამბობენ, როგორც გაგონილ ხმას, რომ ავსტრო-ვენგრიის მინისტრების უკანასკნელ რჩევაში, იმპერატორის წინამძღოლობით, გადასწყვიტეს, რომ ამ წელიწადში სა-

რაევოს არ გააშორონ ჯარები და დაჭერილი ადგილები რაც შეიძლება ეცადონ დაანაწილონ. ამ გვარი გადაწყვეტილების მიზეზი არის მმართველობისაგან მიღებული ცნობა შესახებ ინსურგენტების რიცხვისა და ამათგან გაკეთებულ სიმაგრეებისა ახალ-ბაზართან. ამის გამო ავსტრიას დასჭირდებოდა ღიღძალი მეომრები, თუმცაღა კი სრულიად უიმედოთ, რომ გაემარჯვნა; ამასთან მმართველობა სრულიად შეუძლებლად რაცხს პორტასთან კონვენციის შეკვრას, რომელიც ბერლინის ტრაქტატის ძალით ვალდებულებით საქმედ გამოდის.

**ლონდონი**, 31 აგვისტოს. პორტამ მიიღო ცნობა, რომ მარკიზ სალსბიური, როგორც სჩანს, არ მიემხრობა ბერმანიის წინადადებას, რომ სახელმწიფოებმა მიმართონ პორტას საზოგადო წინადადებით ბერლინის ტრაქტატის სისრულეში მოსაყვანად.

**სტამბოლი**, 30 აგვისტოს. აქ მრავალი სტუდენტები (სოფტები) დაატყვევეს. ფიქრობენ, რომ ამ დატუსაღებას კავშირი აქვს მურადის მომხრეების შეთქმულობასთან. სასახლის მცველთ რიცხვი გაუძლიერებიათ.

**პეტერბურღი**, 31 აგვისტოს. დანიშნულია შემდეგი ჯილდოები: ტოტლებენისა და გრაფ ზეიდენისათვის—წმ. ანდრია პირველ-წოდებულის ორდენი, სკობელევის შვილისთვის—ენერალ-ადიუტანტობა, სკობელევის მამისათვის წმინდა გიორგის მესამე ხარისხის ორდენი.

**ბათუმი**, 31 აგვისტოს. ჩვენ სტუმრები ოსმალონი დღეს ზღვით წავიდნენ ტრაპიზონშიო, და თვით დერვიშ-ფაშაც ისინი გააცილეს მხოლოდ რუსებმა თ. მირსკი გამოეთხოვა დერვიშ-ფაშას ფლეგატზედ.

**ლონდონი**, 1 ენკენისთვე. „Times“ ტელეგრაფით აცნობებენ ფინლიანდიიდამ: აქ მოვიდა რუსის გემი Cimbria, სანამ ბრძანებას არ მიიღებს. ამ გემმა მოიყვანა ოფიცრები და ეკიპაჟი აქ აშენებული და აღჭურვილი რუსის კრეისერებისთვის. კრეისერების „აფრიკა“ განმგებელად იქნება კაპიტანი ალექსეევი, კაპიტანი ავალოვი—კრეისერის „აზია“, კაპიტანი ბრიპენენბერღი—„ევროპის“, კაპიტანი დომანი—„ავსტრიის“, რომელიც ჯერ არ არის წყალში ჩაშვებული, თითოეულ კრეისერს აქვს რვა იარაღი ძალიან დიდი ყალიბისა.

**პეტერბურღის ბირჟა**, 23 აგვისტოს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემის — | 96— | 75 |
| მეორესი — — — — | 96— | „ |
| მესამესი — — — — | 95— | 50 |
| მეოთხესი — — — — | 95— | „ |
| აღმოსავლეთის — — | 91— | 70 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი— | 7— | 94 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— — | „— | „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 234— | „ |
| მეორე სესხის — — — | 231— | 25 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი— | — | 25— | „ პენსი |
| ამსტერდამი— | — | 125— | 25 ცენტი |
| ბერლინი— | — | — 211— | 75 ჰენინგი |
| პარიჟი | — | — — 26— | 75 სანტიმი |
| შაკაესის კერასინი | | 2— | 45 |
| ამერიკის | — | — —3— | 15 |


# განცხადებანი

ვსთხოვ უმორჩილესად ყველ-ფერ-ს, ვისაც ჰქონდა წაღებული ჩემგნით, ჩემი გამოცემული წიგნები და აგრეთვე სხვებისაც, რომლებიდამაც მქონდა გამოცემული გასასყიდლათ; ამისთვის გთხოვთ უუ. კომისიონერნო, რომ გამისწორონთ ანგარიში და აგრეთვე, რაც წიგნებია დარჩენილი უკანვე დამიბრუნონთ ფოჩტით. უკეთუ ვერ მივიღებ კმაყოფილებას, იმ შემთხვევაში ვალდებულათ ვრაცხ ჩემთავს, რომ გამოვაცხადო გაზეთში ვისგანაც ვერ მივიღებ, კმაყოფილებას. დასარწმუნებლად იმათთვის, ვისგანაც მე მქონდა გადმოცემული წიგნები რომ იმათაც იცოდეს.

ვისაც სურს წიგნების ყიდვა რომელიც არის ჩემი გამოცემული დაითმობათ მყიდველებს: ვინც იყიდის მანეთიდამ ხუთ მან. ორი შაური; ხუთი მან. ათ მანეთამდი თითო აბაზი მანეთში.

ა. ქალანდაძე.

ადრესი: Въ Тифлисъ типографія Меликова, Ар. И. Каландадзе.

---

გამოვიდა და ისყიდება

# „თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული ბრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნ-მაღაზიებში,

ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.


| რკ. გზა | დილ. | | საღ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| ბორ. . . . | 11 | 5 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . . | 6 | 5 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| | | | | | | | | |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონ. . . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამ. | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამ. . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| ბორ. . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილ. სი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ოკი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . . . . | 1 | — |
| ბორს, ლუშეთს, სოღანლს . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვ | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას . . . . | 2 | — |
| ოსმალეთშ, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . | 3 | 75 |

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქაზეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოჩუბეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . | 4 |
| დ.ბ ჭდილის (ბეჭდი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 1 სექტემბ. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯგვლ, ფთ. | 1 | 80 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 35 |
| ქერი ფუთი . . . . . | 1 | 30 |
| ბამბა ერევანისა, ფუთი . | 7 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| ბაპენტალი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფუთი | 8 | 50 |
| —მარაქამისა ფუთი . . | 4 | 20 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | — |
| ქონ., ფუთი . . . . . | 5 | 50 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 8 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 40 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ | — | 81 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | 90 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 80 |
| შაქარი, ბროკ. ფუთი . | 7 | 30 |
| —ფხვნილი ფუთი . . . | 6 | 40 |
| ყავა გრგვლი, გირვ . . | — | 70 |
| ბეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 13 | 50 |
| ბამბაქო, ს.ზუ ლო ფთ. | 12 | — |

| თფილისის სამკურნალო | |
|---|---|
| ერევნ ს მაიდანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში. | |
| ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ. | |
| ორშაბათს: ვერიშევი და ბარლეევი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანც—საგარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები. | |
| სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის. | |
| ოთხშაბათი: ვერმიშევი შინ. განი. | |
| ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინ.გ., ქიუჩარიანც—ოფალიტიკური და საშარდე ორგანების. | |
| პარასკევს: ვერმიშევი—შ.ნ.გ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების. | |
| შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალის. | |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Сентября 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი